განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7.04.2022 – 8.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული ქიმია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიოფარმაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ბაკურიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარი დუაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული ქიმია“ ძირითადი მიზანია მოამზადოს შემოქმედებითი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემატური ცოდნა ქიმიის პრინციპებისა და თეორიების შესახებ და ორგანული ნაერთების სინთესის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამედიცინო/ფარმაცევტულ კომპანიებსა და სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებში სამკურნალო საშუალების მწარმოებლების და ხარისხის მაკონტროლებლების პოზიციებზე, გარდა ამისა შექმნან და ეფექტურად მართონ საკუთარი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული ქიმია“ მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები ნაწილობრივ უზრუნველყოფენ პროგრამის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას და შესაბამისად, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2022 წლის 7 – 8 აპრილს და შეხვედრები თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების Zoom ის მეშვეობით განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან. მატერიალურ ტექნიკური ბაზეის დათვალიერება მოხდა ადგილზე ვიზიტით.

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სამაგისტრო თემატიკების შერჩევის მეთოდები და მათი განხორციელების გზები, ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის რესურსები, სილაბუსები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ბაზები, დამსაქმებელთა ჩართულობა და შესაძლო დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის და შედეგების შეფასების მექანიზმები. ვიზიტის ბოლოს შემაჯამებელ შეხვედრაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის მიერ მოხდა ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია

ასევე გაცნობებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა ვერ იქნა გაზიარებული მათი მოსაზრებები. შესაბამისად დასკვნა დარჩა უცვლელი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობი შესწავლა მოხდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

1. **საგანანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

სამაგისტრო პროგრამის მიზანი ნთლად არის ჩამოყალიბებული და ნაწილობრივ შეესაბამება დაგეგმილი სწავლების შედეგებს. პროგრამის მიზანებში აღნიშნულია: „კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამედიცინო-ფარმაცევტულ კომპანიებსა და სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებში სამკურნალო საშუალების მწარმოებლების და ხარისხსი მაკონტროლებლების პოზიციებზე, გარდა ამისა შექმნან და ეფექტურად მართონ საკუთარი კომპანიები“, თუმცა პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ფარმაცევტული მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფარმაცევტული ბიზნესის, აგრეთვე არ არის სამრეწველო ფარმაციის (წამალთა წარმოების ტექნოლოგიის) და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსები. სასურველია თეორიული ცოდნის უკეთ განმტკიცების მიზნით პრაქტიკის სასწავლო კომპონენტის და ბაზების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს სახელმწიფოს რეგულაციები ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართ. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. რომელშიც აისახება სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, ფარმაციის სხვადასხვა მიმართულებების ღრმა და სისტემური ცოდნა, ზოგჯერ კი მხოლოდ კვლევაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ადგილი აქვს სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაციას, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და მომავალ მკვლევარში აკადემიური წერის კულტურის გამომუშავებას.

პროგრამაში სასწავლო კურსების უმრავლეობას 10 კრედიტი აქვს გამოყოფილი და არ არის გათვალისწინებული საგნის სპეციფიკა. საჭიროა გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესი სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების კომპონენტები და მეთოდები ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, რამაც შეიძლება შეაფერხოს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. სწავლების შეფასების სისტემა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომებს და სასწავლო საგნების სპეციპიკის გათვალისწინებას რათა უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტის განმავითარებელი, სწორი და სამართლიანი შეფასება.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

საქართველოს უნივერსიტეტი თავისი სტუდენტებისათვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე) მართავს საორიენტაციო ღონისძიებებს, როდესაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და ატრენინგებენ ონლაინ სისტემის „ჩემი UG" -ს გამოყენებაში. სტუდენტს შეუძლია სხვა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ან საგანმანათლებლო ოფისის სამსახურებისგან.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევს დამამთავრებელი კურსის დასაწყისში. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თემა წინასწარ შემოთავაზებული ჩამონათვალიდან და/ან მომავალ ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა. მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალიდან, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მატერიალური ბაზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები მეტწილად აღჭურვილია შესაბამისი ხელსაწყო/დანადგარებით და სახარჯი მასალებით, შესაბამისად სტუდენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, რომლის თანახმადაც სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ჯეროვნად მართვას (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების,

არსებული პროცედურებისა და მექანიზმების მუდმივ ექსპერტულ შეფასებას, მონიტორინგსა და მათი განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის შესწავლამ გამოკვეთა რიგი შეუსაბამობები აკრედიტაციის სტანდარტებთან და საკუთრივ აკრედიტაციის პროცედურასთან მიმართებით.

გასაუბრების შედეგებმა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აჩვენა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ცენტრალიზებულია და იმართება შესაბამისი სამსახურის მიერ, მასში ნაკლებად მონაწილეობს პროგრამის აკადემიური გუნდი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია პროგრამის მიზნების სრულად მისაღწევად დაემატოს ფარმაცევტული მენეჯმენტის-მარკეტინგის ან ფარმაცევტული ბიზნესის საკითხების, სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები.
  - რეკომენდებულია პროგრამის მიზნები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარისათვის.
  - რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება
  - რეკომენდებულია ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს
  - რეკომენდებულია სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ***ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია*** ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით აწმყო დროში
  - რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობები გასწორდეს კანონმდებლობის შესაბამისად
  - რეკომენდებულია პროგრამაში არსებობდეს განმარტება არჩევით კურსებთან დაკავშირებით
  - რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს
  - რეკომენდირებულია კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამას დაემატოს, მაგ. კვლევის დიზანის ან კვლევის მეთოდებს შემსწავლელი სასწავლო კურსები; სამეცნიერო წერის საფუძვლები, მონაცემთანა ანალიზი და ა.შ.
  - რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი, მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ანალიზში
  - რეკომენდირებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან
  - რეკომენდებულია პროგრამაში სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს საგნის სპეციფიკა
  - რეკომენდებულია პროგრამის შეფასების მეთოდები, ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას
  - რეკომენდებულია სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვრი

- რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
- რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.).
- რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა.
- რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის.
- რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი

ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.).

- რეკომენდებულია დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.

- რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
  დაზუსტდეს და შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად განისაზღვროს მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი;
  მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
- შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია არჩევითი კურსების გამრავალფეროვნება
  - სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება
  - სასურველია სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რაოდენობის გაზრდა-ჩატარება

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას. ითვალისწინებს ფარმაცევტული ქიმიის სფეროში არსებულ მოთხოვნებს, ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადებისაკენ. პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია პროგრამის ხედვა, რაც მოიცავს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საკვანძო აღწერას. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის გამოყენებულია ანალოგი პროგრამების ანალიზი. თუმცა აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას არ წარმოუდგენია, არც გასაუბრებებისას დადასტურდა თუ რაში გამოიხატა და როგორ აისახა ანალოგების ანალიზი ამ პროგრამის კურიკულუმზე ან მის განხორციელების სპეციფიკაზე. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერნეტის წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა ფარმაცევტული ქიმიის სფეროს სამაგისტრო პროგრამები, რაც ძირითადად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასახულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. თუმცა უმჯობესი იქნებოდა პროგრამის მიზნების, შედეგებისა და კურიკულუმის დახვეწის მიზნით ასევე უპრიანი იქნებოდა უფრო მეტად გამოყენებული ყოფილიყო პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, რაც საშუალებას მისცემდა პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ გუნდს შეექმნათ სრულყოფილი დარგობრივი ცოდნისა თუ უნარების შეძენასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა. ამ გზით, ანალოგი პროგრამების ანალიზი იქნებოდა უფრო ღრმა და სრულყოფილი, რაც ასევე წვლილს შეიტანდას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესებაში. აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოიკვეთა ის, რომ პროგრამის მიზნები ნაკლებად გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. თუმცა, რამდენად სრულად მიღწევადია პროგრამის მიზნები გაურკვეველია, რადგან პროგრამის მიზანებში აღნიშნულია: „კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამედიცინო/ფარმაცევტულ კომპანიებსა და სხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებში სამკურნალო საშუალების მწარმოებლების და ხარისხსი მაკონტროლებლების პოზიციებზე, გარდა ამისა შექმნან და ეფექტურად მართონ საკუთარი კომპანიები.'' თუმცა პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ფარმაცევტული მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფარმაცევტული ბიზნესის, აგრეთვე არ არის სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსები. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე

https://www.ug.edu.ge/ , სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ პროგრამის უპირატესობებს, მიღების წინაპირობებს და სასწავლო გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს უნივერსიტეტის მისია
- ფარმაცევტული ქიმიის მაგისტრატურის პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების სრულად მისაღწევად დაემატოს ფარმაცევტული მენეჯმენტის-მარკეტინგის ან ფარმაცევტული ბიზნესის საკითხები, სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები.
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარისათვის.
- რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ვერ შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რადგან ბუნდოვანი რომელი სასწავლო კურსი გადის საკუთარი კომპანიების ეფექტურად შექმნისა და მართვის სწავლის შედეგზე. აქედან გამომდინარე პროგრამის შემუშავების პროცესში ნაწილობრივ არის დაცული ურთიერთკავშირი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებს შორის.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის (სამაგისტრო) მოთხოვნებს და წარმოადგენს განაცხადს პროგრამის კურსდამთავრებულის ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგები საჭიროებს დაზუსტებას. შედეგები ჭარბი რაოდენობითაა წარმოდგენილი (სულ 17 შედეგი), ურთიერთგადამფარავია, მნიშვნელოვანია რომ დაკონკრეტდეს და მსგავსი შედეგები გაერთიანდეს. აღნიშნული უფრო შესაძლებელს გახდის სწავლის შედეგების შეფასებასა და მონიტორინგს.

სამაგისტრო პროგრამა ანიჭებს „ბიოფარმაციის მაგისტრის“ კვალიფიკაციას, რომელიც იძლევა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებისა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის მატრიცაში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ურთიერთკავშირი. მაგრამ პროგრამის სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულები არაა წარმოდგენილი.

***ცოდნა, უნარები,* პასუხისმგებლობა და ავტონომია** რუბრიკები არ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით აწმყო დროში, რაც უნდა შეიცვალოს. შედეგების ფორმულირებებიც დასახვეწია, ცოდნის ნაწილში „ფლობს ან ექნება ფართო ცოდნა“ ვერ უზრუნველყოფს გაზომვადობის კრიტერიუმის დაკმაყოფილებას.

პროგრამის დებულების შესაბამისად, პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტის მიმდინარე შეფასებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდით, რაც გაზომვადი და მიღწევადია. თუმცა დოკუმენტი, რომელიც აღწერს და აჩვენებს კონკრეტულად რომელი სწავლის შედეგისთვის, რომელი სილაბუსიდან შეირჩა დავალება, რა არის ამ დავალების შესრულების სამიზნე ნიშნული და სხვ. უსდ არ წარმოუდგენია. აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია სწავლის შედეგების მექნიზმის დახვეწა/სრულყოფა.

ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციით გაირკვა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და მისი იმპლემენტაციის სხვადასხვა ეტაპზე არ მონაწილეობს დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაცევტული ქიმიის მაგისტრატურის პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს
- რეკომენდირებულია სწავლის შედეგების დაზუსტება და მსგავსი შედეგების გაერთიანება. რაც უფრო შესაძლებელს გახდის სწავლის შედეგების შეფასებასა და მონიტორინგს.
- რეკომენდირებულია განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის
- სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ***ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია*** ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი მოქმედების გამომხატველი ზმნების საშუალებით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს სახელმწიფოს რეგულაციები საერთო სამაგისტრო გამოცდების მიმართ. საქართველოს კანონდებლობით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს უცხოელს საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე მინისტრის თანხმობით, ხოლო საქართველოს მოქალაქეს საერთო სამაგისტრო გამოცდას + შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ან გასაუბრება, უცხო ენა. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. თვითშეფასების ანგარიშში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობის ჩანაწერი განსხვავებულია და ეწინააღმდეგება კანონმდებლობას კერძოდ, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგოსტრო პროგრამაზე) სტუდენტების ჩარიცხვა ხდება შემდეგნაირად: კანდიდატებს წარმატებით უნდა ჰქონდეთ მიღებული ბაკალავრის ხარისხი ფარმაციის, ქიმიის, ბიოქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი მინიმუმ B2 დონეზე. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კანდიდატის მიერ წარდგენილი წერილობითი და ზეპირი მოხსენებების გათვალისწინებით და კანდიდატების კვლევის უნარებისა და სკოლის კვლევის პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისად. პროგრამაის და თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი დაშვების წინაპირობები

განსხვავებულია ერთმანეთისგან და საჭიროებს დაზუსტებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულმა პირმა ეს ინფორმაცია შესაძლებელია იხილოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე https://www.ug.edu.ge/.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა • სამაგისტრო პროგრამის დებულება • საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ug.edu.ge/
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობები გასწორდეს კანონმდებლობის შესაბამისად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი განათლების ხარისხის ხელშეწყობისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს.

ციკლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში აქტივობების გაუმჯობესება და დროული რეაგირების გზით ხარვეზების გამოსწორება.

ციკლი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

1. გეგმა

2. შესრულება

3. შემოწმება

4. მოქმედება

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის: ბაზრის კვლევა, შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებელ სავარაუდო ან არსებულ პერსონალთან, რესურსების ანალიზი და კონსულტაციები სკოლის ადმინისტრატორებთან. შემუშავებული პროგრამა განიხილება სკოლის საბჭოში და გადის საუნივერსიტეტო ექსპერტიზას, რომელსაც ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამას აკადემიურ საბჭოში განსახილველად წარადგენს შესაბამისი სკოლის დირექტორი. აკადემიური საბჭო ახალ პროგრამას ამტკიცებს იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება შემდეგი ფაქტები: პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე; პროგრამის კომპონენტების ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და საკრედიტო შესაძლებლობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს აღნიშნული კომპონენტით დასახული სწავლის შედეგებისა და მიზნების მიღწევას, რაც სათანადოდ აისახება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში; პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების პროცედურა მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საფეხურს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული ბაზრის კვლევა და მასთან დაკავშირებული მოწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი. შესაბამისად ბუნდოვანია ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის კურსის ერთიანობა უზრუნველყოფს თუ არა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და შესაბამისად პასუხობს თუ არა დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული პროგრამის მისიას.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. კრედიტების გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა, მის შესასრულებლად საჭირო დრო, კურსის სპეციფიკა და ყველა კურსისთვის გამოყოფილია თანაბარი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის შინაარსი ითვალისიწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამის დაგეგმვა-შექმნის პროცესში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა არ არის უზრუნველყოფილი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შემდგომი განვითარების პროცესში.

პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი შედგება პროგრამის ძირითადი საგნების 90 ECTS-ისგან, რომელთაგან 30 კრედიტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს ფარმაცევტულ ქიმიაში, ხოლო 30 კრედიტი - ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის არჩევით საგანს. თუმცა წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, არასწორად არის მითითებული კრედიტების რაოდენობა (ძირითადი საგნების 93 ECTS-ისგან, არჩევითი სასწავლო კურსები-54 კრედიტი). ხარვეზია პროგრამის სტრუქტურაში, არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობაში. წერია 3 საგანი, თითო 10 კრედიტიანი და დაჯამებულია 20 კრედიტის ოდენობით. ინტერვიუს დროს ექსპერტებს განუმარტეს, რომ 3 არჩევითი კურსიდან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ 2 საგანი - 20 კრედიტი. სასურველია პროგრამაში არსებობდეს ჩანაწერი ამასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კურსდამთავრებულების მიერ საკუთარი კომპანიების შექმნა და მართვა რეკომენდირებულია ძირითად კურსებს დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც შეისწავლის მარკეტინგის-მენეჯმენტის, ფარმაცევტული ბიზნესის საკითხებს. ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • პროგრამის კურიკულუმის მატრიცა • ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია პროგრამას ძირითად სასწავლო საგნად დაემატოს ფარმაცევტული მარკეტინგი - მენეჯმენტი ან ფარმაცევტული ბიზნესი ○ რეკომენდირებულია პროგრამაში არსებობდეს განმარტება არჩევით კურსებთან დაკავშირებით ○ ჩატარდეს სიღრმისეული ბაზრის კვლევა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია არჩევითი კურსების გამრავალფეროვნება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის მატრიცა, რომელიც აჩვენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ძირითადი სასწავლო კურსებს შორის კავშირს. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ადასტურებს, რომ პროგრამისათვის სწორადაა გააზრებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კავშირი, პროგრამის კომპლექსურ სწავლის შედეგებთან, რადგან: 1. წარმოდგენილია არჩევით კურსები, რომლებსაც სტუდენტი ან აირჩევს ან არა, შესაბამისად მათი სწავლის შედეგებთან ბმა არაფრის მომცემია. 2. მატრიცაში არაა ნაჩვენები თუ რა დონეზე ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგებს სავალდებულო სასწავლო კურსი. 3.მატრიცაში რამდენიმე შედეგზე საერთოდ არც ერთი სავალდებულო კურსი არ გადის. გამოდინარე აქედან, წარმოდგენილი მატრიცის მიხედვით ეს კონკრეტული სწავლის შედეგები არ მიიღწევა.

პროგრამის დოკუმენტის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ყველა სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია 10 კრედიტი. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კრედიტების განაწილების დროს არ მომხდარა საგნის სპეციფიკის გათვალისწინება და ამ პროცესში აკადემიურ პერსონალს არ მიუღია მონაწილეობა. საჭიროა გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა სასწავლო მასალის და სწავლის მეთოდების გათვალისწინებით

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა საჭიროებს განახლებას. ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის, პროფესორისთვის და მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. "MyUG"-ის საშუალებით სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვთ შეუკვეთონ საჭირო მასალები ონლაინ ბიბლიოთეკის ფონდიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ბიბლიოთეკის კატალოგი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს უწყობს ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას. უნივერსიტეტის გააჩნია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და ბიბლიოთეკა. პროგრამის ძირითად საგანს წარმოადგენს კვლევითი ნაშრომი. თუმცა ბუნდოვანია როგორ უვითარდებათ სტუდენტებს ინფორმაციის მოძიების, მისი ანალიზისა და დამუშავების უნარ-ჩვევები; ასევე პრაქტიკული კვლევის განხორციელების,

შედეგების ანალიზისა და დასკვნების ფორმირების უნარ-ჩვევები, რადგან პროგრამაში არ არის შესაბამისი სასწავლო კურსები. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამას დაემატოს, მაგ. კვლევის დიზანის ან კვლევის მეთოდებს შემსწავლელი სასწავლო კურსები; სამეცნიერო წერის საფუძვლები, მონაცემთანა ანალიზი და ა.შ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, რაც აუცილებელია სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარებისათვის. ამ მხრივ აუცილებელია პროგრამის მოდერნიზება, რეკომენდირებულია პრაქტიკის სასწავლო კურსის დამატება, მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ანალიზში და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება პრაქტიკის ობიექტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • სასწავლო კურსის სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამას დაემატოს, მაგ. კვლევის დიზანის ან კვლევის მეთოდებს შემსწავლელი სასწავლო კურსები; სამეცნიერო წერის საფუძვლები, მონაცემთანა ანალიზი და ა.შ. ○ რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი, მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ანალიზში ○ რეკომენდირებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რაოდენობის გაზრდა-ჩატარება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების ფართო სპექტრი, რაც შეესაბამება კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სწავლის შედეგების მიღწევას

- აუდიო-ვიდეო სასწავლო მასალების გამოყენება;
- ინტერაქტიული ლექციები;
- სიტუაციური სავარჯიშოები;
- კვლევის წარმოება;
- პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები;
- კრიტიკული ანალიზი;
- ჯგუფური სავარჯიშოები;
- საქმის შესწავლა;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- ბიბლიოთეკაში ელექტრონული ფორმატის ფაილების მოძიება;
- პრეზენტაცია;
- პროექტი;
- ვერბალური მეთოდი;
- საკითხების დაწერა;
- ელექტრონული და არაელექრონული სამედიცინო ჩანაწერების წარმოება;
- პრაქტიკული სამუშაო;
- დემონსტრაციის მეთოდი;

თუმცა სილაბუსების ანალიზის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ძირითადათ გამოიყენება ერთი და იგივე სწავლის მეთოდები და არ არის გათვალისწინებული საგნის სპეციფიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამაში სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს საგნის სპეციფიკა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროგრამის დებულება, სადაც გაწერილია სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში და სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კველევით კომპონენტში. უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე. სილაბუსის გაცნობა ხდება როგორც პედაგოგის მიერ კურსის დასაწყისში, ასევე ატვირთულია ელექტრონული ვერსია. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ. აღნიშნული შესაძლებლობების სრულადაა ხელმისაწვდომი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის და დანერგილია პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები პროგრამაში არ არის აღწერილი. უმრავლესი სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების კომპონენტები და მეთოდები ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, რამაც შეიძლება შეაფერხოს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა.

სილაბუსებში არ არის მითითებული დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვრი. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახლია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც ჩანს, რომ სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ყველა სასწავლო კურსისთვის ითვალისწინებს შუალედური შეფასებების- 65 ქულას და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს - 35 ქულას. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის სილაბუსები • სამაგისტრო პროგრამის დებულება; • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მეთოდები, ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას ○ რეკომენდირებულია სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვრი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი თავისი სტუდენტებისათვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე) მართავს საორიენტაციო ღონისძიებებს, როდესაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და ატრენინგებენ ონლაინ სისტემის „ჩემი UG" -ს გამოყენებაში. სტუდენტს შეუძლია სხვა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ან საგანმანათლებლო ოფისის სამსახურებისგან. სკოლა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური და ფინანსური სამსახურები დახმარებასუწევს სტუდენტს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებში, ხოლო სკოლის დირექტორი და დეპარტამენტის ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება აკადემიური საკითხების მოგვარებაში. უნივერსიტეტში მიმდინარე ახალი პროცესების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ შეტყობინების სახით "online UG" ელექტრონულ ვებ-გვერდზე.მთლიანობაში სტუდენტები კმაყოფილები არიან ინფორმაციის მიწოდების სისტემით. ტარდება კონსულტაციები სასწავლო კურსებში. საქართველოს უნივერსიტეტში

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლაზე სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ზრუნავს. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს ასევე უტარდებათ კონსულტაციები და ტრენინგები კარიერის დაგემვისათვის, რათა მათ თავდაჯერებულად იგრძნონ თავი კონკურენტულ გარემოში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან • ონლაინ სისტემა "MY UG" • საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევს დამამთავრებელი კურსის დასაწყისში. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თემა წინასწარ შემოთავაზებული ჩამონათვალიდან და/ან მომავალ ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე. შემდეგ ყოველი მაგისტრანტისთვის სკოლის საბჭოს სხდომაზე მტკიცდება თემის სათაური, ხელმძღვანელი და ექსპერტი. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტს აქვს მუდმივი კონტაქტი ხელმძღვანელთან, მისი უშუალო მითითებებით და ზედამხედველობით ასრულებს კვლევებსა და დავალებებს, და ეტაპობრივად წარმოადგენს კვლევის შედეგებს, დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა. მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალიდან, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;
- მაგისტრანტებისა ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთად და
- კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგარმის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება აკადემიური ხარისხით, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით და პედაგოგიური გამოცდილებით. აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო აქტივობებში და აქვთ სამეცნიერო პუბლიკაციები ბოლო 5 წლის განმავლობაში (ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 10, საერთაშორისო 45. ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 21, საერთაშორისო 20. კვლევითი პროექტი 10, წიგნის ავროტი/თანავტორი 3, ნაშრომების თარგმანი 7 და სახელმძღვანელოების რედაქტირება 2) აკადემიური პერსონალი ფლობს კომპეტენციას სწავლის შედეგების მისაღწევად.
- სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს 7 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი და 5 მოწვეული სპეციალისტი და 3 უცხოელი პედაგოგი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესრულებას და ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. ამასთანავე დაცულია ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესში
- მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას
- პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებასი და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. კარგად იცნობს პროგრამის ყველა კომპონენტს და იღებს მონაწილეობას ყველა ცვლილება/რედაქტირებაში
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან,

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად (ყოველ სემესტრში) აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ტარდება გამოკითხვები, სასწავლო პროცესისა და მისი

განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. გამოკითხვის შედეგები ანალიზდება და გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აკადემიური პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებში, ადმინისტრაციის ხელშეწყობით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გადამზადების კურსები კვალიფიკაციის და უნარების ასამაღლებლად, რაც დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • აკადემიური პერსონალის CV-ები; • გამოკითხვების შედეგები; • გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს მატერიალ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლებაზე. შეხვედრების დროს აღინიშნა რომ ბოლო პერიოდში მეტწილად შეივსო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა და სახარჯი მასალები. სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად. აგრეთვე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ბაზებზე. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ლიტერატურას და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს. სამაგისტრო კვლევების სრულფასოვანი შესრულებისთვის და კვლევის მეთოდების მრავალფეროვნებისათვის აუცილებელია მომავალშიც გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესური ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის წლიური სავარაუდო ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილში ითვლის შემდეგ მაჩვენებლებს:

1. შემოსავლები - პროგრამის ძირითადი შემოსავალია სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური, რომელიც შეადგენს 4500 აშშ დოლარს და სასწავლო სამეცნიერო გრანტები.
2. ხარჯები - პროგრამის ხარჯვით ნაწილში წარმოდგენილია ადმინისტრაციული ხარჯი, მოწვეულ პედაგოგთა შრომის ანაზღაურება, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამიზნული ხარჯი, საბიბლიოთეკო ფონდის, სასწავლო გრანტის/სტიპენდიების, სტუდენტური პროექტებისთვის გამოყოფილი ხარჯი.

ფარმაცევტული ქიმიის პროგრამის ბიუჯეტის პროექტის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა რიგი უზუსტობები თანხების გაანგარიშებისა და შემოსავლებისა თუ ხარჯების განაწილების მიმართულებით. კერძოდ, სააკრედიტაციო პაკეტს თანდართული ბიუჯეტის მიხედვით 2022 წლისთვის იგეგმება 5 სტუდენტის მიღება. აღნიშნულ 5 სტუდენტზე სწავლის გადასახადად დაანგარიშებულია 90000 აშშ დოლარი 22500 დოლარის ნაცვლად. მსგავსი უზუსტობები იკვეთება შემდგომი წლების მიხედვით წარმოდგენილ მონაცემებთან დაკავშირებითაც, რაც საბოლოო ჯამში ბუნდოვანს ხდის პროგრამის შემოსავლების ნაწილს. ასევე, პროგრამის ბიუჯეტიის ხარჯვით ნაწილში არ არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება. საკითხთან დაკავშირებით, ესქპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა პროგრამის

დაზუსტებული ბიუჯეტი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამედიცინო ქიმიის[3] სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილში ფარმაცევტული ქიმიის პროგრამის ბიუჯეტის იმავე კომპონენტებს მოიცავს, თუმცაღა განსხვავდება სავარაუდოდ მისაღები სტუდენტების რაოდენობით წარმოდგენილი წლების მიხედვით. მაგ., 2022 წლისთვის იგეგმება 25 სტუდენტის მიღება, რომელთა 80%-ის (20 სტუდენტი) ჩარიცხვის შემთხვევაში შემოსავალი პირველი სასწავლო წლისთვის იქნება 90000 აშშ დოლარი. აღნიშნული ბიუჯეტის პროექტში შემოსავლების ნაწილი სტუდენტთა სწავლის საფასურთან მიმართებით გასწორებულია, თუმცაღა ბუნდოვანია ხარჯვითი ნაწილი, რომელიც არასრულადაა წარმოდგენილი და ასევე, შემოსავლების ნაწილში ბუნდოვანია სასწავლო-სამეცნიერო გრანტების მუდმივ რეჟიმში მოზიდვისა და განხორციელების საკითხიც. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან დაფიქსირდა საჭიროების შემთხვევაში შემოსავლების ნაწილში სკოლის ბიუჯეტიდან პროგრამის დამატებითი თანხებითა და რესურსებით უზრუნველყოფისთვის მზაობა. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, ასევე ადგილზე მატერიალური ბაზის დათვალიერებისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს გამართული აქვს პროგრამისთვის საჭირო ლაბორატორიული ბაზა, რა მიზნითაც შეძენილ იქნა სპეციალური აპარატურა, კეთილმოეწო აუდიტორიები და ლაბორატორიები. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ასპექტია პროგრამის დაგეგმვის როგორც საწყისს, ისე მისი შემდგომი განვითარების ფაზებში, შესაბამისად რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

[3] აღნიშნული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თავდაპირველი სახელწოდებაა

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, რომლის თანახმადაც სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ჯეროვნად მართვას (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების, არსებული პროცედურებისა და მექანიზმების მუდმივ ექსპერტულ შეფასებას, მონიტორინგსა და მათი განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

საკუთრივ პროგრამის შემუშავების, მისი სტრუქტურის, მონიტორინგისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკა, მექანიზმები თუ პროცედურები, ისევე როგორც ამ პროცესებში ჩართული თითოეული პასუხისმგებელი პირის ფუნქციები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. დებულების თანახმად პროგრამის შემუშავებაზე, სააკრედიტაციო დოკუმენტების მომზადებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოფს სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის და შეფასების ეტაპებზე. შემუშავებული პროგრამის განხორციელების პროცესში კი უკვე პროგრამის ხელმძღვანელს გარკვეულ ასისტირებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი და სასწავლო პროგრამის კურატორი. რაც შეეხება დამოუკიდებელ საგანმანთლებლო პროგრამას, მის განხორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირია დამოუკიდებელ საგანმანთლებლო პროგრამის ადმინისტრაციული დეკანი, ხოლო მართვის უმაღლესი ორგანოა პროგრამის განვითარების საბჭო.

საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში ჩართულია პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი პროგრამის მიზნებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით და რომლის შემადგენლობაშიც მუდმივ წევრებად შედიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. ამავე დებულების მიხედვით, პროგრამის აკრედიტაცია/რეაკრედიტაციის მიზნით იქმნება პროგრამის აკრედიტაციის საბჭო, რომლის წევრებიც დაკომპლექტებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებით, 1 აკადემიური პერსონალითა და 1 სტუდენტით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში არსებული ზემოაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები პროცედურულად სჩანს, რომ უზრუნველყოფენ პროგრამის შემუშავების, მისი განვითარებისა თუ შეფასების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობას, თუმცაღა აღნიშნული არ დადასტურდა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის, მოწვეული პერსონალი), დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. უფრო კონკრეტულად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი (განსაკუთრებით ამ უკანასკნელთა

შემთხვევაში) არა თუ იცნობს უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მისივე სილაბუსის სტრუქტურაზე, შინაარსზე, სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, შეფასების ფორმებსა და კომპონენტებზე. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური გუნდი არ იცნობს საკუთრივ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაკუთრებით კი სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით დაგეგმილ/განსაზღვრულ ღონისძიებებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელს დაბალი ინფორმირებულობა საკითხთან მიმართებით. მართალია პროგრამა ახალია და მას არ ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისევე როგორც დამსაქმებლები (ინტერვიუზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი პოტენციური დამსაქმებელი), მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებამ და მათ მიერ საკითხთან დაკავშირებით არსებული ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გაზიარებამ, არ დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვის, პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესებში მათი ჩართულობა.
გასაუბრების შედეგებმა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აჩვენა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ცენტრალიზებულია და იმართება შესაბამისი სამსახურის მიერ, მასში ნაკლებად მონაწილეობს პროგრამის აკადემიური გუნდი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესში მოხდეს პროგრამის პერსონალის ეფექტიანი ჩართულობა. შესაბამისად, რეკომენდებულია: 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას; 2. პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე; 3. ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულ საბჭოთა ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები

(საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის შესწავლამ გამოკვეთა რიგი შეუსაბამობები აკრედიტაციის სტანდარტებთან და საკუთრივ აკრედიტაციის პროცედურასთან მიმართებით. სახელდობრ, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის N911988 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, მისი ფორმითა და შინაარსით გამომდინარეობს და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ფორმა წარმოადგენს არა სარეკომენდაციო დოკუმენტს, არამედ მაქსიმალური სიცხადით, ფორმაში გამოტანილი კრიტერიუმების მიხედვით შესავსებ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც „უნდა ასახავდეს დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ ხედვას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს.“ (იხ. ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, გვ. 8). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი უკლებლივ 5-ვე სტანდარტთან მიმართებით ვერ აკმაყოფილებს ოფიციალური ფორმით განსაზღვრული კომპონენტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციისა თუ ანალიზის წარმოდგენას. თვითშეფასების აღწერილობითი ნაწილი არასრულადაა შევსებული, ხოლო რაც შეეხება შეფასებით ნაწილს, დოკუმენტი არ მოიცავს პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და განხორციელებული/განსახორციელებლი აქტივობების შეფასებას. რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავებაში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობას, გასაუბრებისას დადასტურდა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა თანამონაწილეობა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩართული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის მართვის დებულება - ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
- რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.).
- რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტში პროგრამის გარე შეფასების მიზნით იყენებენ კურსდამთავრებულთა დასაქმების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევასა და მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრას, ისევე როგორც ახორციელებენ დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენას. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი პროგრამა ახალია მას ვერ ეყოლებოდა კურსდამთავრებულები, მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო უნივერსიტეტს მისი რესურსებით განეხორციელებია პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა. ამ მიზნით შესაბამისი გამოკითხვის ფორმის მეშვეობით გამოკითხულია ერთი უცხოელი პოტენციური დამსაქმებელი. მიღებული ინფორმაცია მართალია იძლევა ზოგად წარმოდგენას პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესახებ, მაგრამ მისი არაპრეზენტატულობიდან გამომდინარე (მხოლოდ ერთი დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგი) ვერ იქნება მიჩნეული ვალიდურ შეფასებად. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რამდენიც საჭიროა ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის. მაგ., ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში შესაძლებელია 8-10 დამსაქმებელი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში, დარგის სპეციფიკის და შრომის ბაზარზე არსებული რეალობის გათვალისწინებით მინიმუმ 20-30 დამსაქმებელი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სივრციდან.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გარე შეფასების მიზნით გაეგზავნა დარგის უცხოელ ექსპერტს/შემფასებელს. წარმოდგენილი გარე შეფასების დოკუმენტი ნაკლებად ასახავს პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და ვფიქრობთ, არ იძლევა პროგრამის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემუშავების საწყის და შემდგომი განვითარება-გაუმჯობესების ეტაპებზე უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეული და დეტალური ანალიზი და შეფასება. ამავე მიმართულებით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სასწავლო კურსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში გარე ექსპერტის დასკვნა;
- გამოთხოვილი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის.
- რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა

შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესები, მეთოდები და მექანიზმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დოკუმენტში. წინამდებარე დოკუმენტი პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პარალელურად განსაზღვრავს პროგრამის განახლების, მისი სწავლის შედეგების შეფასების

პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, პროგრამის ინიცირების საწყის ეტაპზე, ხოლო შემდგომ შემუშავების/განახლების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს „პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი. გამოკვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების, დასაქმების ბაზარზე მოცემულ სპეციალისტებზე მოთხოვნის, აბიტურიენტებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოცემულ სპეციალობაზე მოთხოვნის და სავარაუდო სამომავლო დინამიკის შესახებ“, ასევე, „შრომის ბაზრის კვლევა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ დასაქმების ბარის კვლევას, ხოლო მეორეს მხრივ კურსდამთავრებულთა პოტენციური დასაქმების სფეროების და დამსაქმებლების კვლევას“. პროგრამის შემუშავება/განახლებისთვის ამავე დებულების მიხედვით მნიშვნელოვანია „დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა“, „პოტენციური აკადემიური პერსონალის ხედვების შესწავლა“, „პროგრამასთან შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება“ და სხვ. ყოველივე ზემოჩამოთვლილი წარმოადგენს არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების/განახლების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან ელემენტებს, არამედ არის პროგრამის მონიტორინგისა და განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისთვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმები. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლამ და განხილვამ, კონკრეტულად კი თუ რა ინფორმაციას გვაწვდის თითოეული მათგანი პროგრამის შეფასებისა და ანალიზის მიმართულებით, გამოკვეთა მათი ხარისხობრივი გაუმართაობა და არარელევანტურობა.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციაში, როგორც აღვნიშნეთ, იძებნება მხოლოდ ერთი პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის პასუხები, რომელიც ვერ იქნება მიჩნეული პროგრამის და მისი კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების შეფასების მიმართულებით მნიშვნელოვან დოკუმენტად. რაც შეეხება პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზსა თუ შრომის ბაზრის კვლევას, თვითშეფასების საქაღალდეში იძებნება შრომის ბარის კვლევის 2 გვერდიანი დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტი არაფერს გვეუბნება კვლევის მეთოდოლოგიის, გამოკითხული რესპოდენტების რაოდენობის ან შესწავლილი წყაროების, კვლევის ჩატარების ხანგრძლივობის, მონაცემების დამუშავების და მსგავსი კვლევისთვის მნიშვნელოვანი სხვა ეტაპებისა თუ კომპონენტების შესახებ. კვლევაში ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია დასაქმების სფეროების და პოზიციების შესახებ. ასევე, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი ვერ ადასტურებს პროგრამის საჭიროებას. შესაბამისად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზრის კვლევა რეალურად მისი შინაარსით არ ატარებს კვლევის ხასიათს და ამით ირღვევა საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა პროგრამის შემუშავება/განახლების და ზოგადად, პროგრამის მონიტორინგის ეტაპისთვის. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატული მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტს განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება

როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია პროგრამის ანალოგ პროგრამებთან შედარება არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე, არამედ აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომში მონიტორინგის ეფექტიან მექანიზმადაც. აღნიშნული დოკუმენტი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის დროს, რის პასუხადაც დაწესებულებამ წარმოდგინა ანალოგი პროგრამის აღწერილობა არაბულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია მისივე შიდამარეგულირებლით განსაზღვრული დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლის ანგარიში ან სხვა ანალიზური დოკუმენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, სტანდარტის 5.3. კომპონენტის სავალდებულო მოთხოვნაა პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცი (საგანმანათლებლო პროგრამის დებულება) მოითხოვს დასავლური ანალოგი პროგრამების შესწავლას პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესში, რეკომენდებულად მიგვაჩნია მეტი ეფექტიანობისთვის პროგრამის სამუშაო გუნდმა გააქტიუროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მიზნით არსებული სისტემის გამართულობასა და ქმედუნარიანობაზე. ინტერვიუებით იდენტიფიცირდა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში ისეთი მექანიზმების არსებობა როგორიცაა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. როგორც ჩანს, აღნიშნული გამოკითხვებით მიღებული მონაცემები, ისევე როგროც აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები მეტ-ნაკლებად თავს იყრის პროგრამის წლიური თვითშეფასების ანგარიშში, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი კვლევები/გამოკითხვების ანგარიშები არ იქნა მოწოდებული. მხოლოდ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის წლიური ანგარიში, საიდაც ძირითადად გამოტანილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და კმაყოფილების დონე დისტანციური სწავლებით. აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო და პროგრამული კითხვარების შევსებაში მონაწილეობა ვერ გაიხსენეს პანელზე წარმოდგენილმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. მათთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ არც კვლევის შედეგებზე აქვთ წვდომა და ამ მიმართულებით ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით

სისტემის გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიერ ამ სწავლის შედეგების დაძლევადობის უზრუნველყოფა. პროგრამაში წარმოდგენილია 17 სწავლის შედეგები. მნიშვნელოვანია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება (მაგ., მსგავსი სწავლის შედეგების დაჯგუფების, გაერთიანების ხარჯზე), რადგან რაოდენობრივად ბევრი და ურთიერთგადამფარავი სწავლის შედეგი გაართულებს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც შუალედურად, ისე პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად რეკომენდებულია მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი.

სააკრედიტაციო პაკეტს არ ახლდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, კურიკულუმის რუკა და სხვა ანალიზური დოკუმენტი, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა პროგრამის აკადემიური გუნდის ხედვაზე. შესაბამისი დოკუმენტები გამოთხოვილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა მხოლოდ პროგრამის კურიკულუმის რუკა (სადაც წარმოდგენილია როგორც სავალდებულო ისე არჩევითი კურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან). წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა საჭიროებს გადახედვას და მეტ დეტალიზაციას. სახელდობრ, პროგრამის მე-12 და მე-17 სწავლის შედეგებზე არ გადის არც ერთი სავალდებულო სასწავლო კურსი, შესაბამისად ეს შედეგები ვერც ერთი სასწავლო კურსით ვერ მიიღწევა. შესაძლებელია ეს ჩაითვალოს ტექნიკურ ხარვეზად, მაგრამ არც სხვა სწავლის შედეგების მიღწევადობა არის წარმოდგენილი დამაჯერებლად. უფრო კონკრეტულად კი, დოკუმენტიდან არ იკითხება თუ რა დონეზე (გაცნობის, გაღრმავების, განმტკიცების) ხდება სწავლის შედეგის მიღწევა ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კურსის მიერ. ასევე, საეჭვოა იმ სწავლის შედეგების მიღწევადობა, რომლებზეც მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი გადის. აღსანიშნავია, რომ რუკის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომი გადის მხოლოდ 6 სწავლის შედეგზე. სამაგისტრო ნაშრომი ვიცით რომ წარმოდგენს სამეცნიერო კომპონენტს, რომელიც თავს უყრის სტუდენტის მიერ შესაბამის დარგში აქამდე მიღებულ ყველა ცოდნასა და გამომუშავებულ უნარს. სამაგისტრო ნაშრომი მისი დატვირთვიდან გამომდინარე გადის პროგრამის უკლებლივ ყველა სწავლის შედეგზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება.

რაც შეეხება სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმს უშუალოდ ამ პროგრამისთვის შემუშავებულს, სადაც იდენტიფიცირებული იქნება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსი, ამ კურსიდან შეფასების ფორმა/კომპონენტი, შესაბამისი სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვებასა და იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი, მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი არ იქნა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით აღნიშნული

მექანიზმი არსებობა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო რეგულაციით - საგანმანთლებლო პროგრამის დებულებით. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდებულად მიიჩნევს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამისთვის, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა და შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი საგანმანთლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ნაწილობრივ გამართულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; • შრომის ბაზრის კვლევა; • ფარმაციის პროგრამის წლიური ანგარიში; • ანალოგი პროგრამები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ○ რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით. ○ რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.

- რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
- დაზუსტდეს და შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად განისაზღვროს მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი;
- მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
- შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის			✓	

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლაშა ბაკურიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაკა ჯავახია



ქრისტინე ჩიხლაძე

ზაქარ დუაძე